<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი, 31/12/1984, დოკუმენტის N161, სარეგისტრაციო კოდი: 020.000.000.05.001.000.010) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 174[15] მუხლი:

„მუხლი 174[15]. საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიანი სამნიშნა ნომერი - „112"-ის არამიზნობრივი გამოყენება

1. საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიანი სამნიშნა ნომერი - „112"-ის გამოყენება შეტყობინების მიმღები პირისთვის შეურაცხყოფის მიყენების მიზნით ან სხვა შეურაცხმყოფელი განცხადებების გასაკეთებლად, ასევე აღნიშნული ნომრის არამიზნობრივი სისტემატური გამოყენება გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის ერთსა და იმავე მოვლენასთან დაკავშირებით, -

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

3. საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიანი სამნიშნა ნომერი - „112"-ის გამოყენება გადაუდებელი დახმარების მოთხოვნის მიზნით ცრუ შეტყობინების განსახორციელებლად, რომელსაც შედეგად მოჰყვა შესაბამისი საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურის მიერ შემთხვევის ადგილზე გასვლა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენა -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღე-ღამემდე ვადით.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის, საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიანი სამნიშნა ნომერი - „112"-ის არამიზნობრივი სისტემატური გამოყენება გულისხმობს ერთი და იმავე პირის მიერ აღნიშნულ

ნომერზე ნებისმიერი უწყვეტი ერთი საათის განმავლობაში 10 ან მეტი შეტყობინების განხორციელებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეტყობინების ინიციატორი აზუსტებს, ავსებს ან აკონკრეტებს გადაუდებელი დახმარების საჭიროებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

2. ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, თუ საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიან სამნიშნა ნომერ - „112"-ზე შეტყობინების ინიცირების მიზეზს წარმოადგენს გარემოებათა არასწორი სუბიექტური შეფასება, როდესაც ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, პირს შეიძლება ევარაუდა გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის საჭიროება.".

2. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42^1 და 42^2 მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 44-ე–44^3, 44^5, 44^7–44^{12}, 45-ე, 46-ე, 46^1, 48-ე–49-ე, 50^1–55^4, 56-ე, 57-ე–59-ე, 59^2, 59^3, მე-60, 60^3, 61-ე, 61^1, 63-ე, 63^1, 64-ე, 64^1, 65-ე, 66-ე–69-ე, 71-ე, 72^1–78-ე, 79^1–82^2, 84-ე–86-ე, 88-ე–89^3, 91^2, 94-ე, 95-ე, 99-ე, 100^1, 100^2, 103^1, 104-ე და 105^1 მუხლებით, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 128^1–128^5, 143-ე, 144-ე, 144^{10}, 145-ე, 146^1, 148-ე, 150-ე–151-ე, 152-ე, 152^2–153^1 და 153^3–153^5 მუხლებით, 153^6 მუხლის მე-2 ნაწილით, 154-ე–154^2, 155^1–156-ე, 157^1–158^1, 159-ე–159^1, 159^4–159^{10}, 163-ე, 164-ე, 164^4, 165^1–165^3, 166-ე, 167-ე და 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171^1, 172^4, 172^5, 173-ე, 173^4–173^7, 173^9, 173^{12}, 174^1, <u>174^{15} მუხლის მე-4 ნაწილი,</u> 175^1, 175^2, 177^8, 177^9, 177^{11}, 178-ე, 179^1–179^3, 180-ე–183-ე, 187-ე–187^2, 189-ე, 191-ე მუხლებით (გარდა 191-ე მუხლის პირველი და 1^1 ნაწილებისა), 192-ე, 195-ე, 196^2–196^6 და 197^1 მუხლებით.

3. 209-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შინაგან საქმეთა ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 107^1–107^3, 108-ე, 114^1, 114^2, 116-ე, 117-ე, 118-ე–119-ე, 120-ე–123-ე, 125-ე და 127-ე მუხლებით, 127^1 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 128-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 129^1 მუხლით, 131-ე მუხლით (საავტომობილო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის), 134-ე მუხლით, 153^6 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 171-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილებით, 172-ე, <u>174^{15} მუხლი (გარდა მე-4 ნაწილისა),</u> 176^1, 182^1, 182^2, 190-ე და 190^2 მუხლებით, 191-ე

მუხლის პირველი და 1^1 ნაწილებით (მათ შორის, სასაზღვრო გამტარ პუნქტზე გამოვლენისას).“.

4. 239-ე მუხლის მე-13 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. ამ კოდექსის 45-ე, 81-ე, 107-ე, 114^1, 114^2, 116-ე, 117-ე, 118-ე–123-ე, 125-ე და 127-ე მუხლებით, 127^1 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 134-ე, 150-ე და 153^3 მუხლებით, 153^6 მუხლის მე-2 ნაწილით, 166-ე, 173-ე, 174^1, 174^{15}, 175^2, 176^1, 177^1, 180-ე–183-ე, 190-ე და 190^2 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 166-ე და 197^2 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში ოქმებს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი